სსიპ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, სამართლის დოქტორის,

ალექსანდრე ჩხიტაურის

კონცეფცია და სამოქმედო გეგმა

მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი კონცეფციის და სამოქმედო გეგმის მიზანია მიმდინარე კონკურსში ჩემი კანდიდატურის გამარჯვების შემთხვევაში ხელი შევუწყო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევასა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფარგლებში უფრო ეფექტური გავხადო უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის პროცესი.

წინასწარ გამოვთქვავ ჩემს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით რომ არამართებულად მიმაჩნია თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში მონაწილე პირებს უნდა მოეთხოვებოდეთ უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციის და სამოქმედო გეგმის წარმოდგენა საკონკურსო კომისიისთვის განსახილველად, გამომდინარე იქიდან რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ წარმოადგენს თსუ-ს პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად რგოლს უნივერსიტეტში. საუნივერსიტეტო კონცეფციას, უნივერსიტეტის სამოქმედო (სტრატეგიული) განვითარების გეგმებს განსაზღვრავენ, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და მათ შესრულებაზე ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებენ თსუ უმაღლესი ორგანოები, წარმომადგენლობითი ორგანოები: აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) და ასევე რექტორი, რომელიც არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, უმაღლესი აკადემიური თანამდებობის მქონე პირი და იმავდროულად აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. სწორედ ამ ორგანოების მიერაა დამტკიცებული ყველა ის ნორმატიული აქტი რომლებითაც განისაზღვრება უნივერსიტეტის საქმიანობის პოლიტიკა და გამომდინარე აქედან უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა. გარდა აღნიშნულისა თსუ ბიუჯეტის დამტკიცების და შემდგომ მის შესრულებაზე ზედამხედველობის უმაღლესი მაკონტროლებელი ფუნქციაც ზემოაღნიშნული ორგანოების კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.

ხოლო რაც შეეხება თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს), კანონმდებლობის შესაბამისად იგი არის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია თსუ უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე და აღასრულებს მათ მიერ დამტკიცებულ, საუნივერსიტეტო კონცეფციით განსაზღვრულ დებულებებს და ასევე მათ მიერვე დამტკიცებულ უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო (სტრატეგიულ) გეგმას. გამომდინარე აქედან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ძირითადად აღჭურვილია აღსრულებითი ფუნქციებით და ის როგორც

აღმასრულებელი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი სამართლებრივად მოკლებულია იმ შესაძლებლობას რომ დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განსაზღვროს საუნივერსიტეტო პოლიტიკა და თსუ განვითარების სამოქმედო სტრატეგიული გეგმა. თუმცაღა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით წინადადებებით მიმართოს თსუ შესაბამის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და მათი თანხმობის მიღების და შესაბამის აქტებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინადადებების ფორმირების შემთხვევაში აღასრულოს შემდგომ საქმიანობაში. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში მონაწილე პირებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციის და სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმის წარმოდგენა საკონკურსოდ განსახილველად, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ წარმოადგენს თსუ-ს პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად რგოლს უნივერსიტეტში. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში მონაწილე პირებს წარმოედგინათ სამოტივაციო წერილი, სადაც საუბარი იქნებოდა იმ ძირითად ფაქტორებზე, რამაც განაპირობა აღნიშნულ კონკურსში მათი მონაწილეობის სურვილი.

ახლა რაც შეეხება ჩემს სურვილს რათა მონაწილეობა მივიღო მიმდინარე კონკურსში ვითვალისწინებ რა ჩემს გამოცდილებას განათლების სფეროში და იმ ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, გთავაზობთ ჩემს კანდიდატურას აღნიშნულ ვაკანსიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ვფიქრობ, ჩემი პროფესიული საქმიანობა, გამოცდილება, სოციალური უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები გამიადვილებს ამ თანამდებობის ღირსეულად დაკავებას.

წარმოგიდგენთ ჩემი გამოცდილების შესახებ მოკლე ინფორმაციას:

1. ჯერ კიდევ თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტობის პერიოდიდან აქტიურად ვიყავი ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და ვეწეოდი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. 1998-2002 წლებში ვიყავი თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარე, ასევე თსუ გაერთიანებული სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის საუნივერსიტეტო სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. გამომდინარე აქედან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან შევიძინე პრაქტიკული გამოცდილება მმართველობით საქმიანობაში, ვიყავი უამრავი ღონისძიების (საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული, სამეცნიერო) ორგანიზატორი, ასევე თანაორგანიზატორი და უშუალო მონაწილეც აღნიშნული ღონისძიებების, როგორც საფაკულტეტო ასევე საუნივერსიტეტო და რესპუბლიკური მასშტაბების. სტუდენტობის და ასპირანტობის პერიოდში მმართველობით სფეროში შეძენილი გამოცდილება შემდგომ ეტეპებზეც მნიშვნელოვნად დამეხმარა პროფესიულ საქმიანობაში.

2. 2002 წლიდან 2006 წლამდე პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად თსუ იურიდიული ფაკულტეტზე ვახორციელებდი სხვადასხვა ადმინისტრაციულ საქმიანობასაც, ვიყავი ფაკულტეტის უფროსი მეთოდისტი, დეკანის თანაშემწე ადმინისტრაციულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ფაკულტეტის პროფკავშირის თავმჯდომარე, ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

3. წლების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ვახორციელებდი პედაგოგიურ საქმიანობას, იმავდროულად როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრი ვახორციელებდი საადვოკატო საქმიანობას, ადმინისტრაციულ, საგადასახადო, საფინანსო დავებთან დაკავშირებით. ასევე, სხვადასხვა, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებს ვუწევდი სამართლებრივ დახმარებას და კონსულტაციებს მათ სისტემებში არსებულ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა, როგორც დაწესებულებათა ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უფლებამოსილებათა გამიჯვნის ან კომპეტენციათა გადანაწილების საკითხებს, დაწესებულებათა კადრების მართვის ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და ადმინისტრაციულ და დისციპლინური პასუხისმგებლობათა მექანიზმების საკითხებს, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა წახალისების ფორმების და მეთოდების დახვეწის და ამ დაწესებულებათა შიდა მარეგულირებელ ნორმებში ასახვას, ასევე საჯარო და კერძო დაწესებულებათა ფინანსური რესურსების მართვის, დაწესებულებათა ბიუჯეტების, შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი ნაწილის პრიორიტეტების განსაზღვრის, დაგეგმვის და შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის სამართლებრივ მექანიზმების სრულყოფის საკითხებს. რაშიც საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა. საკმაოდ მრავლადაა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი რომელთა მიმართაც ზემოაღნიშნულ საქმიანობებს ვახორციელებდი და მათ შორის მრავლადაა საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც უმაღლესი სასწავლებლები, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები კერძო სკოლები. რომელთა დაფუძნების და შემდგომში მათი როგორც ადმინისტრაციული, ასევე საფინანსო საქმიანობის სამართლებრივად სწორად განხორციელების პროცესშიც აქტიური მონაწილეობა მიმიღია. ასე რომ აღნიშნული სფერო ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენს და არც დილეტანტად ვგრძნობ თავს.

4. რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ საქმიანობას 2013 წლის სექტემბრიდან - დღემდე ვარ თსუ რექტორის თანაშემწე და მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, რამაც არსებითი გამოცდილება შემძინა თსუ მართვის საკითხებთან დაკავშირებით, კარგად ვიცნობ უნივერსიტეტის საჭიროებებს, ვხედავ და ვაცნობიერებ თსუ-ს წინაშე მდგარ პრობლემებსა და მაქვს კონკრეტული ხედვა მათი გადაჭრის გზების. აღნიშნული თვალსაზრისით გარკვეული სამუშაოები ჩატარებული მაქვს რექტორის თანაშემწედ და მრჩეველად მუშაობისას.

5. ვინაიდან დიდი გამოცდილება მაქვს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის სფეროში, ეს ერთ-ერთი დამატებითი მოტივაციაა ჩემთვის აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის

მისაღებად, რადგან უნივერსიტეტის არსებობა მისი მიზნების და ამოცანების შესრულება წარმოუდგენელია კვალიფიციური აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გარეშე, გამომდინარე იქიდან რომ წლების მანძილზე მე თავად ვიყავი სტუდენტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი და შემდგომ უკვე ათეულ წელზე მეტია მე თავად ვახორციელებ პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია ყველა ის პრობლემა თუ ხარვეზი ან სიძნელე რასაც აკადემიური პერსონალი განიცდის უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების კუთხით, რაც არც ჩვენი უნივერსიტეტისთვისაა უცხო. ამიტომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უპირველესი ზრუნვის საგანი და პრიორიტეტი უნდა იყოს უნივერსიტეტში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის შესაბამისი გარემოს შექმნისთვის ზრუნვა და მათთვის ხელშეწყობა მათი საქმიანობის სათანადოდ განხორციელების პროცესში.

6. სამართლის მეცნიერებათა სფეროს ის დარგები, რომლებშიც მიწევდა და დღემდე მიწევს სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა, პრაქტიკული საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებასთან. ყოველივე ეს ხელს შემიწყობს სამომავლოდ თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის, დასაბუთებული წინადადებების მომზადების და ამ გზით თსუ-ში არსებულ პრობლემათა აღმოფხვრის საჭირო დებულებების შემუშავებასა და სრულყოფის გზების ძიებაში. 2000 წელს თსუ იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდგომ ჩემი სამეცნიერო და კვლევითი ინტერესის გათვალისწინებით სწავლა განვაგრძე თსუ ასპირანტურაში საჯარო სამართლის მიმართულებით, კერძოდ კი ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული პროცესის კათედრაზე, სადაც ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების შესწავლისა და კვლევის პროცესში დავინტერესდი საფინანსო, საგადასახადო, ბიზნესის და საბაჟო სამართლის კვლევის პრობლემატიკითაც. გამომდინარე აქედან ჩემი სადისერტაციო თემა შევარჩიე იმ პრინციპით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საკვლევი თემის როგორც ადმინისტრაციულ სამართლებრივი, ასევე საფინანსო და საბაჟო-საგადასახადო სამართლებრივი კუთხით განხილვა. საკანდიდატო დისერტაცია „საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა საქართველოში“, ეძღვნებოდა როგორც საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციული მოწყობის, ასევე საბაჟო ორგანოების, როგორც საფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი მმართველობის ორგანოების და მათი ადმინისტრაციული მართვის კონცეპტუალურ საკითხებს, ასევე საბაჟოების როგორც ფისკალური ფუნქციების მატარებელი და საფინანსო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების სტატუსს, რომელიც 2004 წლის 11 დეკემბერს წარმატებით დავიცავი და მომენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

7. მაქვს კოლეგიალური და საქმიანი ურთიერთობა უნივერსიტეტის როგორც ადმინისტაციულ, ისე აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტობასთან. გამაჩნია, როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალურად მუშაობის უნარები. ამ ვაკანსიით ჩემი დაინტერესება

არის ერთგვარი გამოწვევა ჩემთვის და რამოდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ვფიქრობ, რომ მიღებული გამოცდილება დამეხმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებაში. გარდა ამისა, საშუალებას მომცემს, საკუთარი თავი გამოვცადო ახალ სამუშაო გარემოში.

მოკლედ შევეხოთ უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციას.
უნივერსიტეტი აერთიანებს 7 ფაკულტეტს, 25 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და 40-მდე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს, სადაც სამეცნიერო-პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევა 5 ათასზე მეტი აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტში სწავლების სამივე საფეხურზე განათლებას იღებს 22 ათასამდე ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტი, ყოველწლიურად ხორციელდება 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ფორმირება ძირათადად ხდება:

- ეკონომიკური შემოსავლებით (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება) - 72,5%;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსებით - 6,1%;
- სახელმწიფო სტიპენდიებით - 1,7%;
- სხვა ეკონომიკური შემოსავლებით - 2,2%;
- ეროვნული და საერთაშორისო გრანტებით - 17,5%;

დღეისათვის უნივერსიტეტის მიმდინარე ადმინისტრაციული დანახარჯები შეადგენს მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 40 %-ს (ხელფასი, შესყიდვები, კომუნალური ქონების გადასახადი და სხვა გადასახადები). არსებული დანახარჯები შესაძლებელია, დაექვემდებაროს ეტაპობრივ ოპტიმიზაციას და გამოთავისუფლებული რესურსების გადანაწილება განხორციელდეს სხვა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

რაც შეეხება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, იგი მოიცავს:
13 სასწავლო კორპუსს, 9 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა-ნაგებობას, 2 ბიბლიოთეკას, 2 სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს, დამხმარე შენობა-ნაგებობებსა და სხვა მოძრავ ქონებას. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენს - 238,5 ათას კვ.მ-ს. აქედან ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული სასწავლო ფართი შეადგენს 77,4 ათას კვ.მ-ს, ხოლო დამხმარე - 161,1 ათას კვ.მ-ს. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებული მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

ახლა კი მოკლედ მოგახსენებთ თუ რის გაკეთებას ვაპირებ სამომავლოდ თსუ-ში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსში ჩემი გამარჯვების შემთხვევაში.

უპირველეს ყოვლისა მინდა მოგახსენოთ რომ ყველაფერი ის სიკეთე, თუ რამ წლების მანძილზე გაკეთებულა, თსუ-ში მოქმედი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მმართველობისას ხელუხლებლად დარჩება და გაგრძელდება მომავალშიც, მაგრამ გარდა პოზიტივისა თსუ-ს მმართველობის სფეროში შეუძლებელია წლების მანძილზე ხარვეზები არ ყოფილიყო და პრობლემებს არ ეარსება, სწორედ ამიტომ თსუ-ში არსებულ პრობლემებში ვაპირებ სრულფასოვნად დავადგინო თსუ-ს მართვაში არსებული ხარვეზების და პრობლემათა წარმოშობისა და არსებობის მიზეზ-შედეგობრიობა, შევიმუშაო ჩემი ხედვები პრობლემათა დაძლევის გზებთან დაკავშირებით და შესაბამისი საფუძვლიანი (დასაბუთებული) წინადადებებით მივმართო თსუ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს წარმომადგენლობით საბჭოს და აკადემიურ საბჭოს, რომლის ხელმძღვანელიცაა რექტორი, რათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ჰქონდეს სრული მხარდაჭერა თსუ მართვის უმაღლესი ორგანოებისგან თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, გარდა ამისა ვფიქრობ რომ ადმინისტრაციის ხელმძრვანელი ერთპიროვნულად არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს თსუ საფინანსო, მატერიალურ და ადმინისტრაციული რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა სახის ფორმებით ჩართული უნდა იყოს მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოება, ყველა ფაკულტეტი, თსუ აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი. მათთან კონსულტაციებით, მათი თანამონაწილეობით, პრობლემათა გამოკვეთის და არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზების და ოპტიმალური საშუალებების გამოძებნის გზით უნდა ხდებოდეს თსუ-ში საკითხების დარეგულირება. გარდა ამისა არ უნდა დაგვავიწყდეს სახელმწიფოს როლიც თსუ-ს განვითარების პროცესზე და ამ მხრივაც ვაპირებ მეტი კონტაქტების დამყარებას და თანამშრომლობის გაღრმავებას სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან, თსუ-სთვის მეტი ფინანსური სახსრების მოძიების და უკეთესად განვითარების მოტივით. გამომდინარე იქიდან რომ, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, უნივერსიტეტის მართვა ავტონომიურობის შეზღუდული ხარისხის პირობებში არაეფექტურია. ავტონომიურობა უნივერსიტეტს აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას, მაგრამ დამოუკიდებლობა არ უნდა გავიგოთ, როგორც უპასუხისმგებლობა: უნივერსიტეტების ავტონომიურობის პარალელურად უნდა არსებობდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმებიც. უნივერსიტეტი პასუხისმგებლი არის არა მხოლოდ საკუთრივ საუნივერსიტეტო კადრების (პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ-მუშაკთა და სტუდენტობის) წინაშე არამედ სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშეც, სწორედ ამიტომაც მიმაჩნია სახელმწიფო სტრუქტურებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების სრულყოფა თსუ-სთვის სარგებლობის მომტან საკითხებთან მიმართებით.

2005 წლიდან მოყოლებული, წინა ხელისუფლების მმართველობის დროს თსუ-ში ამ კუთხით განვითარებული პროცესები (ვგულისხმობ თსუ-ს მართვის სტრატეგიას) უმეტეს შემთხვევაში ამოვარდნილი იყო როგორც კანონიერი და სამართლებრივი ჩარჩოებიდან, ასევე ზნეობრივ და მორალურ კრიტერიუმებიდანაც, რამაც საერთო ჯამში გამოიწვია თსუ-ს

დისკრედიტაცია და უმაღლესი განათლების რეფორმის იდეისადმი უნდობლობის, ნიჰილიზმისა და საზოგადოების მხრიდან სამართლიანი უკმაყოფილების გამოხატვა.

ერთი რამ ცხადია, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი საქართველოში არსებული არაჯანსაღი მდგომარეობისა გახდა წინა ხელისუფლების მმართველობის საწყის ეტაპზევე განხორციელებული არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა და მის საფუძველზე განხორციელებული ე.წ. განათლების რეფორმა, რომელმაც უმეტეს შემთხვევაში ძალადობის, უკანონობის, განუკითხაობის ფონზე ჩაიარა.

ვთვლი, რომ სახელმწიფოში განათლების რეფორმირების პროცესი უნდა გაგრძელდეს და თანამედროვე ეპოქაში განათლების რეფორმა მიზნად უნდა ისახავდეს საქართველოში უმაღლესი სტანდარტების საგანმანათლებლო სისტემის დამკვიდრებას, რეფორმამ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მიღების თანამედროვე, მდგრადი და მწყობრი სისტემის შექმნა, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოში განათლების სისტემის სფეროში ისტორიულად არსებული მდიდარი ტრადიციები და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მიზანი. ვინაიდან უმაღლესი განათლების სისტემა ყოველთვის იყო, არის და იქნება ერის სულიერების, სახელმწიფოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების უმთავრესი ბერკეტი, ამავე დროს განათლება და მეცნიერება თავისი არსით გლობალურია და ემსახურება სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობისა და თანაარსებობის დემოკრატიულ პრინციპებს.

არჩევის შემთხვევაში შევიმუშავებ საკანონმდებლო ინიციატივებს საუნივერსიტეტო მართვის ოპტიმალური მოდელების შესახებ, რომელსაც წარვუდგენ თსუ უმაღლეს მმართველ ორგანოებს.

ნეგატივი, რაც უნივერსიტეტში ადრეული წლებიდან მოყოლებული დაგროვდა უკვე დღევანდელ პერიოდში ჰპოვა გამოძახილი და სტუდენტებს შორის თსუ-ს ხელმძღვანელობის მიმართ საპროტესტო განწყობები გააღვივა.

ჩემი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩევის შემთხვევაში ვაპირებ აქტიურ თანამშრომლობას თსუ სტუდენტობასთან რათა მათთან თანამშრომლობის შედეგად თსუ უმაღლესი მართველობით ორგანოებთან შეთანხმებით ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს ყველა ის პრობლემა რომელსაც სტუდენტებიც ხედავენ, გრძნობენ და ამ მხრივ ყოველგვარი ხარვეზი აღმოიფხვრას და კითხვის ნიშნებიც გაქრეს ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

ჩემი როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამომავლო ხედვა დაფუძნებულია უნივერსიტეტის უკვე არსებულ გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებზე და მათ ეფექტურად განხორციელებაზე, რაც საშუალებას მომცემს თსუ შესაბამის სტრუქტურებთან ერთად თანამიმდევრულად განვახორციელოთ მთელი რიგი სამუშაოები. საუნივერსიტეტო გრძელვადიანი ამოცანები უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის საქმიანობის შემდეგ

მიმართულებებში: სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესების; სამეცნიერო –კვლევითი მოღვაწეობის ხელშეწყობის; ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის ; საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობის სრულყოფის; საგამომცემლო და ინფორმატიზაციის განვითარებისთვის ხელისშეწყობის; საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირების და ურთიერთობების გამრავალფეროვნებით; კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის; პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტების სოციალური საკითხების გადაწყვეტის, მათი წახალისებისა და სტიმულირების ეფექტური ფორმების დამკვიდრებით; სპორტისა და ხელოვნების სფეროს განვითარების. თსუ-თვის შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის ხელის შეწყობა თსუ ერთიან სივრცეში და სხვა. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ასევე უმნიშვნელოვანესია: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის ყველა დონეზე ეტაპობრივი ოპტიმიზაცია, რადგანაც, დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობი სგანხორციელებას; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტების, ბიბლიოთეკის, სტრუქტურული ერთეულების და სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა და კონტროლი საერთო სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რაც ამჯამად სრულფასოვნად ვერ ხორციელდება და არსებობს გარკვეული ხარვეზები ამ მიმართულებით; ასევე აუცილებელია შიდაკონტროლის მექანიზმის სრულყოფა, და პასუხისმგებლობის კულტურის მეტად ამაღლება საუნივერსიტეტო სივრცეში. უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, საფინანსო რესურსების საკმარისი პოტენციალის შექმნა, რაც ადეკვატური იქნება უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად; საინვესტიციო ეფექტურობის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, საფინანსო რესურსების განაწილების ოპტიმიზაცია; ფინანსური სტრატეგიის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საფინანსო დაგეგმარებისა და ანალიზის სისტემის სრულყოფა მისი საჯაროობის და გამჭვირვალობის მეტი ხარისხი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; საგანმანათლებლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა და უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახეობების დაფინანსებისათვის სახსრების მოზიდვის და რაციონალური გამოყენების ეფექტიანი სისტემის შექმნა; ბიბლიოთეკის ფონდის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შევსება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შესაბამისი სავალდებულო და უახლესი გამოცემებით; საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველყოფა; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში გამოყენების უზრუნველყოფა; მართვისა და კონკურსების საჯაროობის და გამჭირვალობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირებსა და გაერთიანებებში უნივერსიტეტის ჩართულობის ხელშეწყობა; კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის ჩამოყალიბების

უზრუნველყოფისთვის ხელშეწყობა; აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის მოტივირების უზრუნველმყოფი სისტემის შექმნა; თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა (როგორებიცაა მაგ: ადაპტირებული პირობებისა და გარემოს შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის და სხვ.); ცენტრალური და საფაკულტეტო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელშეწყობა; სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; მართვის საჯაროობის უზრუნველყოფის და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების, ასევე სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარებისთვის ხელშეწყობა; ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობის ხელისშეწყობა მისი მუდმივი სრულყოფის მიზნით და სხვ.

აუცილებლად უნდა გააქტიურდეს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ თსუ-ში საერთაშორისო გრანტების მოცულობა უახლოეს პერიოდში, სულ ცოტა, გასამმაგდეს. ამჟამად საერთაშორისო გრანტების რაოდენობის წილი გრანტების მთლიან მოცულობაში უნივერსიტეტში 11,3 პროცენტს არ აღემატება.

საჭიროა საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება თსუ-ს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებისა და გამრავალფეროვნების ხელშეწყობის კუთხით, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ ცენტრებთან მუშაობის გააქტიურებისა და სხვა მსგავსი მიმართულებებით.

რეალურად დაბალია და არსებითად გასაზრდელია გაცვლითი პროგრამით ჩამოსული სტუდენტების რაოდენობა თსუ-ში, რაც საუნივერსიტეტო საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს, დღეის მდგომარეობით აღნიშნული სტატუსით მყოფი ასამდე სტუდენტი, პროფესორი თუ მკვლევარი აშკარად ცოტაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. ამავე დროს, უნდა გაიზარდოს უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობაც, რაც ფინანსურ უზრუნველყოფასთან ერთად, გულისხმობს თსუ-ში სწავლებისა და უცხოეთში გასაგზავნი კონტიგენტის შერჩევის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება ოპერატიულობის გაზრდა (ელექტრონული მმართველობის შემოღების გზით), რეაგირების დაჩქარება შემოსულ კორესპონდენციებზე, დაყენებულ საკითხებზე, შეკითხვებზე და შენიშვნებზე კომპეტენციის ყველა სფეროს მიხედვით მოხდება პრობლემებისა და რისკების მუდმივი მონიტორინგი და იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, გატარება. აღნიშნულ კონტექსტში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტის შიგნიდან - აკადემიური პერსონალიდან, სტუდენტებიდან, აგრეთვე გარედან - მედია- საშუალებიდან და ცალკეული ფიზიკური თუ იურიდიული პირებიდან წამოსული კრიტიკული შენიშვნებისა და საჩივრებისა და მათზე რეაგირების რეესტრის წარმოება, რომლებზეც ინფორმაცია ყოველთვიურად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ საბჭოს და/ან სენატს,

იმისდა მიხედვით, ვისი კომპეტენცია იქნება ამ საკითხის განხილვა/გადაწყვეტა.
საქმიანობის ერთ-ერთ ცენტრალური მიმართულება უნდა გახდეს აკადემიური პერსონალის კომპიუტერული და პროგრამული პროდუქტებით აღჭურვა, სტუდენტების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და ამ უკანასკნელთა ფართოდ გამოყენება დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გაფართოების გზით, წამყვანი უცხოელი სპეციალისტების ვიდეო-ლექციებისა და ვიდეო-კონფერენციების ორგანიზება.
ჩასატარებელია მუშაობა უნივერსიტეტის შიგნით კორპუსებში კვების ობიექტების პრობლემის გადასაჭრელად, კერძები სხვა სწრაფი კვების ობიექტებთან შედარებით უფრო იაფი, ხარისხიანი და ყუათიანი იყოს.
სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სასწავლო კორპუსებში მისვლის დროის შესამცირებლად დაიწყება მოლაპარაკებები ქალაქის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან საავტობუსო მარშრუტის აღდგენის თაობაზე ჭავჭავაძის გამზირიდან ყველა საუნივერსიტეტო კორპუსის გავლით და სხვ.

პიროვნულად პატივს ვცემ არჩევნებში მონაწილე ყველა სავარაუდო კანდიდატს და ვიმედოვნებ, რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში ჩემს მიერ აღნიშნულ დოკუმენტში წამოჭრილი საკითხები აუცილებლად იქნება მათ მიერ გაზიარებული და მხარდაჭერილი სამომავლოდ.

პატივისცემით,

სამართლის დოქტორი, |ალექსანდრე ჩხიტაური|

12.06.2016.